10.12.2018წ.

განმარტებითი ბარათი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი“-ს დაზუსტებულ პროექტზე

აღნიშნული განმარტებითი ბარათი წარმოადგენს 2019 წლის განმავლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ გასაწევი ხარჯების და შემოსავლების მოკლე მიმოხილვას, ასევე განმარტებებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების და ასიგნებების საპროგნოზო მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 11011,3 ათასი ლარით განისაზღვრა.

მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 10191,3 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის:

- ქონების გადასახადი - 1350,0 ათასი ლარი.
- გადასხადები საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ) – 8841,3 ათასი ლარი.

2019 წლისთვის გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 220,0 ათასი ლარით, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 220.0 ათასი ლარი.

2019 წლისთვის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 600,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- შემოსავლები საკუთრებიდან - 198,5 ათასი ლარი (პროცენტები - 80.0 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 60.0 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან - 58.5 ათასი ლარი).
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 89.1 ათასი ლარი (სანებართვო მოსაკრებელი - 31,6 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 37,5 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 20.0 ათასი ლარი).
- ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავალი - 312,4 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 11011,3 ათასი ლარის ოდენობით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 7926,9 ათას ლარის, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 1715,0 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 1142,7 ათასი ლარი;
- პროცენტები - 56,5 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 4331,8 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 492,7 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 175,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 2876,4 ათას ლარს.

ვალდებულების კლება შეადგენს 208,0 ათას ლარს, რომელიც ძირითადად მიმართული იქნება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული ვალდებულების დაფარვაზე.

მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- მუნიციპალიტეტის საკრებულო - 704,3 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის მერია - 2058,5 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 80,0 ათასი ლარი;
- წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა - 10,0 ათასი ლარი;
- თანამშრომელთა გადამზადების ხარჯი - 20,0 ათასი ლარი;
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა - 254,5 ათასი ლარი
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა - 104,3 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 3837,0 ათასი ლარი, მათ შორის:
  - ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 1265,0 ათასი ლარი;
  - ✓ კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 2572,0 ათასი ლარი;
- განათლება - 2180,0 ათასი ლარი, მათ შორის:
  - ✓ ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებათა - 2100,0 ათასი ლარი;
  - ✓ სკოლამდელის კაპიტალური - 80,0 ათსი ლარი.
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 1129,0 ათასი ლარი, მათ შორის:
  - ✓ ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი - 895,0 ათასი ლარი;
  - ✓ ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება - 174,0 ათასი ლარი;
  - ✓ კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა - 30,0 ათასი ლარი;
  - ✓ რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 30,0 ათსი ლარი.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 633,7 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური - 106.0 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური პროგრამები - 527,7 ათასი ლარი, მათ შორის:
  - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების ღონისძიებები -307,7 ათასი ლარი;
  - შშმ პირთა სოციალური დაცვა - 40.0 ათასი ლარი;
  - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის ხარჯები - 120.0 ათასი ლარი;
  - ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 55,0 ათასი ლარი;
  - სარიტუალო ხარჯი - 5.0 ათასი ლარი;

რაც შეეხება 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახულ სხვა შემოსავლების მუხლში გათვალისწინებულ გეგმებს, გადამუშავებულ რედაქციაში გეგმები დაზუსტდა და განისაზღვრა 600,0 ათასი ლარით. ხოლო რაც შეეხება 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში დასუფთავების მხრივ გათვალისწინებულ შემოსავლებს, მოგახსენებთ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად განიხილავს აღნიშნულ საკითხს და დასაგეგმი წლის განმავლობაში შეეცდება სწორი ადმინისტრირების გზით მაქსიმალურად ეფექტურად განხორციელდეს აღნიშნული კუთხით გასატარებელი ყველა ღონისძიება.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის (2017 - 2022 წწ.) შესაბამისად 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ნაგავმზიდი მანქანის და ურნების შესაძენად 390,0 ათასი ლარი.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება:

- სოფ.ჩადუნიანში ნაცვლიშვილების უბნში გზის რეაბილიტაცია;
- სოფ.ბაისუბანში სირაჩხანას უბანში შიდა გზის რეაბილიტაცია;
- სოფ.თელაში სკოლის ქუჩის რეაბილიტაცია;
- სოფ.საქობოში პირველი ქუჩის რეაბილიტაცია;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასფალტის საფარიანი გზის მოვლა პატრონობა;
- სოფ. ფიჩხიბოგირში ჭაბურღილისა და სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა;
- სოფ. ონანაურში ჭაბურღილისა და სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა;
- სოფ. აფენში ჭაბურღილისა და სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა;
- სოფ. სვიდებაში ჭაბურღილისა და სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა;
- სოფ. ცოდნისკარში ჭაბურღილისა და სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა;
- სოფ.ბაისუბანში გარე განათების მოწყობა;
- სოფ.განჯალაში გარე განათების მოწყობა;
- სოფ.მშვიდობიანში გარე განათების მოწყობა;
- სოფ.პატარა გორზე გარე განათების მოწყობა;
- სოფ.თამარიანში გარე განათების მოწყობა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროექტებისა, 2019 წლის დასაწყისისთვის ბიუჯეტში არსებული თავისუფალი ნაშთის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მაშტაბით დამატებით მოხდება ისეთი პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვა, რომელთა განხორციელებაც აუცილებელი იქნება მუნიციპალიტეტში წარმოშობილი პრობლემების მოსაგვარებლად.

საფინანსო სამსახურის უფროსი: გ. მანგოშვილი